ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 62/117/01/11

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2011 წლის 26 იანვარს "ქ. თბილისში"

<u>შემსყიდველი:</u>
შპს „საქაერონავიგაცია",
მისი დირექტორის გიორგი ედიშერაშვილის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, აეროპორტი 0158
ტელ: 274325, 947583
საბანკო რეკვიზიტები : კომერციული ბანკი "რესპუბლიკა"
ა/ა №005467067(ლარი)
კოდი: 220101757
საიდენტიფიკაციო კოდი 208144051

<u>მიმწოდებელი:</u>

შპს "უნიქოლორი"

მისი დირექტორის ბ. ქობლიანიძის სახით

მისამართი: თბილისი, რუსთაველის 31

საიდენტიფიკაციო კოდი 204447312

საბანკო რეკვიზიტები: სს "ბაზის ბანკი"

ბანკის კოდი: 220101956; ა/ა: 3636734

ერთის მხრივ - **შემსყიდველი**, და მეორეს მხრივ - **მიმწოდებელი**, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია "შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების ნებართვის მიცემის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 5 იანვრის №1 განკარგულების საფუძველზე.

1.2. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საკანცელარიო საქონლის (CPV 30192700-8) მიწოდება. შესასყიდი საქონლის დასახელება, რაოდენობა, ერთეული ფასი და საერთო ღირებულება ასახულია დანართ №1-ში რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

2. ხელშეკრულების ფასი

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 4616.7 ლარს (დღგ-ს ჩათვლით).

2.2. საქონლის ერთეულის ფასი და ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს საქონლის შემსყიდველის საკუთრებაში გადაცემასთან.

3. მიწოდების წესი

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია მოწოდებულ საქონელს თან ახლდეს სათანადო დოკუმენტაცია.

3.2. შემსყიდველი უფლებამოსილია გადაცემის დროს ჩაატაროს საქონლის შემოწმება/ტექნიკური კონტროლი, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს: **ჯ. ვაჭარაძეს - შესყიდვების ექსპედიტორი** რომელიც უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირება., ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს ინსპექტირების ჩატარების დროს..

3.3. შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი დაგვიანებით მიწოდებული, ან უხარისხო (წუნდებული), ან არასათანადოთ შეფუთული, ან არასრული თანხლები დოკუმენტაციის მქონე საქონლის მიღებაზე.

3.4. საქონლის გადაცემა დასტურდება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

3.5. მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონლზე ეკუთვნის და რისკები მისი შემთვეეით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან რაიმე ზიანზე ეკისრება მიმწოდებელს, ხოლო ხელმოწერის მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.

3.6. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნიეთობრივად უნაკლო საქონელი.

4. ანგარიშსწორების წესი

4.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ანაზღაურება საქონლის გადაცემის შემდეგ 7 საბანკო დღის განმავლობაში მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ამასთან მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

4.2. გადახდის ფორმა: ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორებით.

4.3. გადაცემის თარიღად ითვლება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის თარიღი.

5. მხარეთა ურთიერთვალდებულებები და პასუხისმგებლობა

5.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების შესრულების ვადის გადაცილებისთვის მხარეები იხდიან პირგასამტეხლოს მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0,1% ოდენობით თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. ფორს-მაჟორი

6.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

6.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

6.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მაოი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

6. სხვა პირობები

7.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 მარტამდე.

7.2 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით 30 დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სადაო საკითხს განიხილავს სასამართლო.

7.3 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7.4 ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში, რაზედაც მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს 30 დღით ადრე.

7.5 მხარეები ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველიეე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველის მხრიდან	მიმწოდებლის მხრიდან
გ. ედიშერაშვილი	ბ. ჭოხლიანიძე
შპს „საქაერონავიგაციის"	შპს "უნიქოლორი"
დირექტორი	დირექტორი

ხელშეკრულების დანართი №1

საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	თანხა
I	II	III	IV	V
ქაღალდი ა-4 80გრ (500ფრ)	ცალი	300.00	10.00	3,000.00
ქაღალდი ა-3 80გრ (500ფრ)	ცალი	29.00	27.00	783.00
წებო თხევადი 40მლ	ცალი	8.00	2.80	22.40
წებო მშრალი 15გრ შეკვრა	ცალი	8.00	1.80	14.40
კალამი კნოპკით ბურთულიანი 0,7 (ლურჯი)	ცალი	2.00	1.85	3.70
RADIUS Race კალამი თავსახურით ბურთულიანი (ლურჯი) 0.7mm	ცალი	12.00	0.80	9.60
კალამი თავსახურით ბურთულიანი (ლურჯი)	ცალი	10.00	0.80	8.00
RADIUS My Star კალამი თავსახურით ბურთულიანი (ლურჯი) 0.7mm	ცალი	12.00	0.80	9.60
RADIUS 7 კალამი თავსახურით ბურთულიანი (ლურჯი) 0.7mm	ცალი	50.00	0.80	40.00
ფურცლის დამჭერი. მეტალის მონიკელებული. ˜სკრეპი˜ #3. 30მმ	ცალი	2.00	0.45	0.90
CASSA ჭიკარტი ფერადი თავით C8270	ცალი	2.00	0.35	0.70
ჭიკარტი ფერადი თავით	ცალი	2.00	0.35	0.70
XEROX PR ქაღალდი ა3 80გრ (500ფ)	ცალი	2.00	25.00	50.00
LE COLOR Crazy ბლოკნოტი ა-6 ამოტვიფრული ყდით 80 ფრ 80480/1	ცალი	1.00	7.50	7.50
ბლოკნოტი ფერადები რეზინის დამჭერით სამბა (ნოუტბუქი) 9X11სმ	ცალი	1.00	2.30	2.30
Le Color ყოველდღიური ა-5 ბლოკნოტი 2011 წლის	ცალი	1.00	12.00	12.00
კალენდარი კედლის 2011 წლის (ჯეოპრინტი)	ცალი	35.00	12.00	420.00
მაგიდის მოწყობილობა ˜ორგანაიზერი˜ შავი	ცალი	5.00	25.00	125.00
სკოჩი შესაფუთი გამჭირვალე. 48მმX50იარდ	ცალი	20.00	1.80	36.00
სკოჩი გამჭირვალე 12მმX10 იარდზე (პატარა)	ცალი	20.00	0.15	3.00
კალამი თავსახურით ბურთულიანი (ლურჯი)	ცალი	100.00	0.15	15.00
დაფა ჩამოსაკიდი თეთრი მაგნიტური ალუმინის ჩარჩოთი 45X60სმ	ცალი	1.00	35.00	35.00
ქაღალდის დამჭერი კლიპი 25 მმ	ცალი	24.00	0.15	3.60
S.B.T მეტალის კლიპი 32მმ	ცალი	24.00	0.20	4.80
მარკერი დაფის მრგვალ თავიანი (მწვანე)	ცალი	1.00	3.00	3.00
მარკერი დაფის მრგვალ თავიანი (ლურჯი)	ცალი	1.00	3.00	3.00
დაფის საშლელი უმაგნიტო `მაუსის ფორმის`	ცალი	1.00	3.50	3.50
				4616.70

ჩააბარა: შპს "უნიქოლორო"

მიიღო: შპს „საქაერონავიგაცია“

ხელშეკრულება №ბომბ/47/01/11

თბილისი **4 იანვარი 2011 წელი**

ერთის მხრივ, შპს "საქაერონავიგაცია" (შემდგომში "დამკვეთი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ედიშერაშვილის მიერ, და მეორეს მხრივ შპს „ირაო არტ", (შემდგომში "შემსრულებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის შალვა ჩიტიშვილის სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შემსრულებელი ვალდებულია შეასრულოს ბათუმის აეროპორტში მდებარე დამკვეთის ობიექტზე (სანავიგაციო კოშკურა) შემდეგი სამუშაოები:
1.1.1 დამკვეთის მიერ მიწოდებული (კომპანია aMDL-ის) არქიტექტურული პროექტის შესაბამისად მოამზადოს წინასწარი კონსტრუქციული დასკვნა არსებულ ნაგებობაზე მცირე არქიტექტურული ფორმის მოდულის დაშენების შესაძლებლობაზე.
1.1.2. დამკვეთის მიერ მიწოდებული იტალიური კომპანია **tensoforma**-ს მიერ შესრულებული დაშენების მოდულის საპროექტო დოკუმენტაციის (აღმასრულებელი პროექტი), ვიზუალური რუკის, დატვირთვების ცხრილების და საანგარიშო მოდელის და სხვა მონაცემების შესაბამისად დამკვეთის ობიექტის (არსებული ნაგებობის) სპეციალიზირებული კვლევა მასზე მცირე არქიტექტურული ფორმის მოდულის დაშენების გათვალისწინებით: მზიდუნარიანობის და მდგრადობის პარამეტრების დადგენა, დასკვნა და რეკომენდაციები.
1.1.3. საჭიროების შემთხვევაში, დასკვნებისა და რეკომენდაციების საფუძველზე საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება და არსებული ნაგებობის რეკონსტრუქციის პროექტის შესრულება. აღნიშნულ სამუშაოების შესრულებაზე მხარეებს შორის გაფორმდება დამატებითი შეთანხმება, რომლითაც განისაზღვრება ყველა პირობა.
1.2. დამკვეთი ვალდებულია მიიღოს შესრულებული სამუშაო და გადაუხადოს შემსრულებელს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ანაზღაურება.

2.მხარეთა ვალდებულებები

2.1. „შემსრულებელი" ვალდებულია:
2..1.1. საქმიანობა შესრულებული იქნეს მაღალკვალიფიციურად, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და სწრაფი ორგანიზების გზით.
2.1.2. შეასრულოს სამუშაო ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში.
2.2. „დამკვეთი" ვალდებულია:
2.2.1. მიაწოდოს „შემსრულებელს" საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მასალები;
2.2.2. მიაწოდოს „შემსრულებელს" არსებული ნაგებობის სამშენებლო დანიშნულების საპროექტო მუშა დოკუმენტაცია (არქიტექტურა და კონსტრუქციები)
2.3. მიაწოდოს „შემსრულებელს" იტალიური კომპანია tensoforma-ს მიერ მოწოდებული დაშენების მოდულის ვიზუალური რუკა, დატვირთვების ცხრილები და საანგარიშო მოდელი.

3. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 9800 ლარს (ცხრაათას რვაასი), დღგ-ს ჩათვლით.
3.1.1. ხელშეკრულების 1.1.1. პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულებაა 2940 ლარი (ორიათას ცხრაას ორმოცი) დღგ-ს ჩათვლით.
3.1.2. ხელშეკრულების 1.1.2. პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულებაა 6860 ლარი (ექვსიათას რვაას სამოცი), დღგ-ს ჩათვლით.
3.1.3. ხელშეკრულების 1.1.3. პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება დამატებითი შეთანხმებით.
3.2. ანაზღაურება ხორციელდება ეტაპობრივად, შესრულებულ სამუშაოებზე მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა ხელმოწერიდან და საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 25 კალენდარული დღისა.
3.3. გადახდის ფორმა უნაღდო ანგარიშსწორება, ხელშეკრულებაში მითითებულ შემსრულებლის ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით.

მუხლი 4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1 მხარეები სრულად აგებენ პასუხს ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანისათვის.
4.2 თუ ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ არ შეასრულა და/ან არაჯეროვნად შეასრულა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობები, მეორე მხარე უფლებამოსილია, მოსთხოვოს მას ზიანის ანაზღაურება. ასეთ შემთხვევაში დაზარალებული მხარე უფლებამოსილია არ შეასრულოს ის მოვალეობები, რომელიც მან იკისრა ხელშეკრულების დამრღვევი მხარის მიმართ.
4.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისათვის, მხარე უფლებამოსილია მოსთხოვოს დამრღვევ მხარეს პირგასამტეხლოს გადახდა, ხელშეკრულების სრული ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მუხლი 5. გარანტიები

5.1 მხარეები იძლევიან გარანტიას, რომ მათ მიერ წინამდებარე სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულება იქნება სრულყოფილი, ხარისხიანი და დადგენილ ვადებში განხორციელებული.
5.2 შემსრულებელი იძლევა გარანტიას და პასუხისმგებელია, მის მიერ შესრულებული სამუშაოების მიხედვით სხვა კონტრაქტორის მიერ დაშენებულ მცირე არქიტექტურული ფორმის მოდულის გათვალისწინებით, ნაგებობის კონსტრუქციების მზიდუნარიანობასა და მდგრადობაზე.
5.3 შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთს და სხვა მესამე პირებს მის მიერ ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებით ან შეუსრულებლობით მიყენებული ზარალი აუნაზღაუროს სრულად.

მუხლი 6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, მისი ვადამდე შეწყვეტის და მოშლის პირობები

6.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღეს და მოქმედებებს 2011 წლის 31 დეკემბრამდე.

6.2 მხარეები თანხმდებიან და ადასტურებენ, რომ მათი უფლებამონაცვლე/სამართალმემკვიდრე პირები ვალდებულნი არიან დაასრულონ და სრულყოფილად შეასრულონ მხარების მიერ ნაკისრი ყველა ვალდებულება.

6.3 მხარეებს შეუძლიათ მოშალონ წინამდებარე ხელშეკრულება ერთმანეთისათვის ერთი კალენდარული კვირით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების მეშვეობით. ხელშეკრულების მოშლა შესაძლებელია, თუ ერთ-ერთი მხარე არაჯეროვნად ასრულებს მის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. ასეთ შემთხვევაში, ხელშეკრულების მომშლელი მხარე უფლებამოსილი იქნება მოსთხოვოს მეორე მხარეს ზიანის ანაზღაურება სრული მოცულობით. ერთ კვირიანი ვადა აითვლება ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე მეორე მხარისთვის წერილობითი შეტყობინების ჩაბარების დღიდან. შეტყობინების ჩაბარება-მიღება უნდა იქნეს დოკუმენტურად დადასტურებული.

6.4 ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:

ა) მხარეების კეთილი ნების საფუძველზე ასეთი შეთანხმება უნდა იქნეს შედგენილი წერილობითი ფორმით, ხელმოწერილი მხარეების მიერ.

ბ) ცალმხრივად, თუ მხარეს გააჩნია ხელშეკრულების შეწყვეტისათვის სათანადო მიზეზი, ამის თაობაზე მეორე მხარისთვის წერილობითი შეტყობინებიდან 10 კალენდარული დღის შემდეგ.

გ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

7. სამუშაოების შესრულების ვადები

7.1. შემსრულებელი ვალდებულია ხელშეკრულების 1.1.1. პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება დაიწყოს ხელშეკრულების ძალაში შესვლისთანავე და დაასრულოს არაუგვიანეს 2011 წლის 10 მარტისა.

7.2. შემსრულებელი ვალდებულია ხელშეკრულების 1.1.2. პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება დაიწყოს არაუგვიანეს 2011 წლის 10 მარტისა და დაასრულოს არაუგვიანეს 2011 წლის 30 აპრილისა.

7.3. საჭიროების შემთხვევაში, ხელშეკრულების 1.1.3. პუნქტით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების ვადები განისაზღვრება დამატებითი შეთანხმებით, იმ პირობით, რომ 1.3. პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოები უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 2011 წლის 15 მაისისა.

მუხლი 8. დავების მოგვარება

8.1. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა მოლაპარაკებით, ხოლო ასეთი მოლაპარაკების შედეგად შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას წყვეტს სასამართლო.

მუხლი 9. დაუძლეველი ძალა (ფორს მაჟორი)

9.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან დაუძლეველი ძალის (ფორს მაჟორი) გარემოებების არსებობის შემთხვევაში (როგორიცაა სტიქიური უბედურება, მიწისძვრა, სამხედრო მოქმედებები, ომი, საგანგებო მდგომარეობა და დაუძლეველი ძალის მქონე მხარეთაგან დამოუკიდებელი სხვა გარემოებები), რომლებიც შეუძლებელს ხდიან მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების ვადები გადაიწევს აღნიშნულ გარემოებათა მოქმედების ვადით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაუძლეველი ძალის გარემოებები მოქმედებს 7 კალენდარულ დღეზე მეტი ხნის განმავლობაში, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს სახელშეკრულებო ურთიერთობების ცალმხრივად შეწყვეტა და ამის შესახებ შეატყობინოს მეორე მხარეს ამ ხელშეკრულებით დადგენილი შესაბამისი ვადების დაცვით. ის მხარე, რომელსაც დაუძლეველი ძალის გარემოებები ხელს უშლიან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში, ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ასეთი გარემოებების დადგომის და/ან მათი მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
9.3. შეტყობინება იგზავნება დაზღვეული წერილით, ხელშეკრულებაში მითითებულ იურიდიულ მისამართზე.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები

10.1. ამ ხელშეკრულების ნებისმიერი დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს და ძალაშია ამ ხელშეკრულებასთან ერთად.
10.2. ამ ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება ურთიერთშეთანხმებით, ორივე მხარის მიერ წერილობითი დოკუმენტის გაფორმების გზით, რომელიც დადასტურებეული იქნება მხარეთა ხელმოწერებით.
10.3. ყველა წერილობითი შეტყობინება მხარეებს ეგზავნებათ ამ ხელშეკრულებაში აღნიშნულ მათ იურიდიულ მისამართებზე. იურიდიული მისამართის შეცვლის შემთხვევაში მხარეები ვალდებული არიან წერილობით შეატყობინონ ამის შესახებ ერთმანეთს ასეთი ცვლილებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში შეტყობინება ჩაითვლება მართლზომიერად გაგზავნილად.
10.4. დამკვეთის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირები არიან: შპს "საქაერონავიგაციის" ბათუმის ობიექტის მენეჯერი თამაზ კვინიკაძე, განვითარებისა და პროექტების მართვის სამსახურის უფროსი ნინო კვასხვაძე და ამავე სამსახურის სპეციალისტი ზვიად აბესაძე.
10.5. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

მუხლი 11. მხარეთა იურიდიული მისამართები, რეკვიზიტები და ხელმოწერები

დამკვეთი

შპს "საქაერონავიგაცია"

მის: თბილისი, აეროპორტი 0158
ს/კ: 208144051

ბანკი: "რესპუბლიკა"

ბანკის კოდი: 220101757
ა/ა: 005467067

დირექტორი:

გიორგი ედიშერაშვილი

შემსრულებელი

შპს „ირაო არტ"

მის: ქ. თბილისი
ს/კ №204536010

ს/ს „ბანკი რესპუბლიკა" ც/ფ

ბ/კ№220101757
ა/ა№10228891515

დირექტორი:

შალვა [illegible]